განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

30 ნოემბერი, 2018 წელი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205233022
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი - 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ვასილ კიკუტაძე,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**მერაბ ხოხობაია,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**მაია ჭინჭარაშვილი,** საქართველოს რკინიგზა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**გიგი მიშელაძე,** თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანია, კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ ბიზნესში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ანალიზის უნარი და შეეძლოთ რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება კომპანიის საქმიანობის შედეგების გაუმჯობესების მიზნით. პროგრამა მიმართულია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ჩამოუყალიბოს მომავალ სპეციალისტებს საბაზისო წარმოდგენები ბიზნესის მართვაზე კერძოდ, ფინანსების, მენეჯმენტის, მარკეტინგის მიმართულებით.

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის მომზადება მიმდინარეობს ძირითადი და დამხმარე სას-წავლო კომპონენტების მეშვეობით. პროგრამაზე სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობაა 8 სემესტრი (4 წელი). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 240 ECTS კრედიტი. პროგრამა მოიცავს: საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსს (42 კრედიტი), სპეციალობის 20 სავალდებულო კურსს (120 კრედიტი, მათ შორის 3 არჩევითი მოდული, თითოეული 30 კრედიტი, საწარმოო პრაქტიკა - 6 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი - 6 კრედიტი), სპეციალობის 6 არჩევით კურსს (36 კრედიტი, რომლიდანაც სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 18 კრედიტი). სავალდებულო კრედიტების დაგროვების შემდეგ, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, კრედიტები 240-მდე შეავსოს დამატებით სპეციალობის არჩევითი კურსებით და თავისუფალი არჩევითი კურსებით ან აირჩიოს/გაიაროს დამატებითი (minor) სპეციალობა, უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ჩამონათვალიდან.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. რომელიც ითვალისწინებს აბიტურიენტების მიღებას ერთიანი ეროვნული გამოცდებით. პროგრამაზე სასწავლო კურსების ფარგლებში გამოიყენება სალექციო და სასემინარო მუშაობის მეთოდი. სასწავლო კურსების მიზნების მისაღწევად, კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში ასათვისებელი საკითხების შინაარსის და სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენება შესატყვისი მეთოდები და აქტივობები, რაც დეტალურად განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსით. შესაბამისად, პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლების შედეგების (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების) მიღწევას. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც უნდა დადასტურდეს შეფასების შედეგებით. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით.

პროგრამის ფარგლებში მომზადებულ ბაკალავრს, შეუძლია დასაქმდეს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ბიზნეს-ორგანიზაციაში მისი კვალიფიკაციის შესაბამის თანამდებობაზე. ასევე სახელმწიფო მართვის ორგანოებში, აკადემიურ სფეროებში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

პროგრამის განხორციელება სრულად არის უზრუნველყოფილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. უნივერსიტეტი ფლობს მაღალი დონის ინფრასტრუქტურას. პროგრამის განხორციელება ჩართულია სულ 32 აკადემიური პერსონალი. მათ შორის 8 (25%) ძირითადი (5 - პროფესორი 3 - ასოცირებული პროფესორი) და 24 (75%) მოწვეული პერსონალის სახით. პროგრამას არ ჰყავს სტუდენტები და კურსდამათავრებულები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 26 ნოემბერს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში, შედგა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, უნივერსიტეტის მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და პოტენციურ დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა და ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები, რაც ადექვატურად იქნა აღქმული უნივერსიტეტისა და უშუალოდ, პროგრამის ადმინისტრაციის მიერ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგანაც აღნიშნული სტანდარტის 2.2, 2.3, 2.6 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.1, 2.4 და 2.5 კომპონენტები შესაბამისობასია მოთხოვნებთან. მე-3 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მე-4 სტანდარტი შესაბამისობასია მოთხოვნებთან, რადგან მხოლოდ 4.1 კომპონენტია მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. მე-5 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდებულია დაკორექტირდეს ,,სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“ სასწავლო კურსის წინაპირობა და მის წინაპირობად განისაზღვროს პროგრამის სასწავლო ბადიდან შესაბამისი სასწავლო კურსი (მაგალითად: მათემატიკა 2 (კალკულუსი));
  - რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსების სახით შეთავაზებულ იქნეს ,,ბიზნეს სამართალი“ და ,,სტრატეგიული მენეჯმენტი“, რაც ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების უკეთ მიღწევას;
  - რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო ბადის შესაბამისად გასწორდეს კონკრეტული სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული კრედიტების მოცულობა, კერძოდ: მარკეტინგის საფუძვლები მითითებულია - 12 კრედიტი, მმართველობითი აღრიცხვა - 5 კრედიტი, საერთაშორისო ბიზნესი - 12 კრედიტი, ხოლო პროგრამის სასწავლო ბადეში ეს დისციპლინები არის 6 კრედიტიანი;
  - რეკომენდებულია პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებული ძირითადი ლიტერატურის განახლება (მაგალითად, ბიზნესის საფუძვლები, საჯარო ფინანსები, ორგანიზაციული ქცევა, რისკების მენეჯმენტი, პროექტის მართვა, მარკეტინგ-მენეჯმენტი, ეკონომიკის პრინციპები);

- რეკომენდებულია ,,საბაკალავრო ნაშრომში“-ს შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე განხორციელდეს მასზე გამოყოფილი 6 კრედიტის გაზრდა 10 კრედიტამდე და მოხდეს ამავე სილაბუსში ნაშრომის შესრულების ტექნიკური პარამეტრების დაკონკრეტება;
- რეკომენდებულია ,,საწარმოო პრაქტიკის“ სილაბუსში მითითებული ჩანაწერის პრაქტიკის ანგარიშის მოცულობა უნდა იყოს ,,არაუმეტეს 2 გვერდისა“, დაკორექტირდეს როგორც ,,არანაკლებ 2 გვერდისა“, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს სრულყოფილად ასახოს პრაქტიკის ანგარიშში იმავე სილაბუსით გათვალისწინებული საკითხები;
- რეკომენდებულია განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შუალედური შეფასებისთვის ცალკეული სავალდებულო კომპონენტის დაკონკრეტების გარეშე;
- რეკომენდებულია დაწესებულებამ პროგრამის მდგრადობის გაზრდის მიზნით გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური აფილირებუილი პერსონალის რაოდენობის გაზრდა;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია პროგრამის სტრუქტურის უკეთ აღქმადობის მიზნით, პროგრამის სასწავლო გეგმაში ცალკეულ სასწავლო კურსს მიეთითოს კონკრეტული სემესტრი (საგაზაფხულო და საშემოდგომო სემესტრებთან ერთად);
  - სასურველია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსით გათვალისწინებული საბაკალავრო ნაშრომის რეცენზირება გაუქმდეს, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე დაშვებისათვის ნაშრომის ხელმძღვანელის დადებითი შეფასება სავსებით საკმარისია;
  - სასურველია დაწესებულებამ გადახედოს საწარმოო პრაქტიკის კრედიტის მოცულობას და მოახდენოს მისი გაზრდა, თავად საწარმოო პრაქტიკის მნიშვნელობიდან გამომდინარე;
  - სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების თეზისების პერმანენტული გამოცემა კრებულის სახით;
  - სასურველია სასწავლო კურსის სილაბუსებში გამოყენებული მეთოდოლოგიური ნაწილი მეტად იქნეს ადაპტირებული კონკრეტული დისციპლინის შინაარსთან და სპეციფიკასთან;
  - სასურველია სასწავლო კურსის ,,ლიდერობა და მართვა“ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგებმა სრულად მოიცვას თავად კურსის შინაარსი;
  - სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებშიც დაფიქსირდეს საკონსულტაციო საათების რაოდენობა;
  - სასურველია, გააქტიურდეს საერთაშორისო ურთიერთობები, რათა სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცეთ, მონაწილეობა მიიღონ მეტ საერთაშორისო აქტივობებში ან ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით;
  - სასურველია უნივერსიტეტმა გააქტიუროს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხარდაჭერის მექანიზმები საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში ჩართულობის გაზრდის მიზნით;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამა ახალია და შესაბამისად პირველად გადის აკრედიტაციას.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის მიზანია ადგილობრივი შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ბიზნესის მართვის პროცესში წარმოშობილი პრობლემების გადაჭრას, პროგრამის ფარლგებში შეძენილი ცოდნისა და უნარების მეშვეობით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტები დაეუფლებიან ბიზნესის ადმინისტრირების თეორიულ საფუძვლებს, მიიღებენ აუცილებელ ცოდნას ბიზნეს საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებით, რომლებიც მოიცავს ბიზნესის ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოს შესწავლას, კომპანიების საქმიანობის დაგეგმვას, შეფასებასა და ანალიზს, ოპერაციებისა და ადამიანური რესურსების ოპტიმალურ მართვას, ეფექტურ მარკეტინგულ კომუნიკაციებსა და ა.შ. პროგრამა მოწოდებულია მომავალ სპეციალისტებს ჩამოუყალიბოს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში საბაზისო წარმოდგენები: ფინანსების, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ინვესტიციებისა და პორტფელის მართვის, ფინანსური ანალიზის, საბანკო საქმის, ფინანსური რისკებისა და დაზღვევის, ადამიანისეული რესურსების მენეჯმენტის, ინოვაციებისა და მეწარმეობის, სტრატეგიული მენეჯმენტის, მომხმარებელთა ქცევისა და გაყიდვების მართვის, ციფრული მარკეტინგისა და სხვა დისციპლინების შესწავლის საფუძველზე განუვითაროს მართვისა და ორგანიზების უნარი, გუნდური მუშაობის უნარი და ლიდერობის ის თვისებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბებას შრომის ბაზარზე. გამომდინარე აქედან, მიგვაჩნია, რომ პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ხელს უწყობს მის შესრულებას, არის ნათლად ჩამოყალიბებული და ორიენტირებულია შრომის ბაზარზე, შესაბამისად პროგრამის რეალიზაციას საკუთარი წვლილი შეაქვს დარგის და პროფესიული საზოგადოების განვითარებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
▪ ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა; ▪ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მისია; ▪ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ▪ ინტერვიურება უნივერსიტეტის რექტორთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://sangu.edu.ge.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრულ უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის შესაბამისი დონისათვის დადგენილ სწავლის შედეგებს, შეესაბამება ასევე პროგრამის მიზნებს და მოიცავს პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსით გათვალისწინებულ ცოდნას, უნარებს და მიღწევადია. პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების შინაარსი სტუდენტებს აძლევს ფართო ცოდნას ბიზნეს საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებით, კერძოდ, სტუდენტს შეუძლია მარკეტინგული კვლევების ცოდნის საფუძველზე განსაზღვროს ფირმის მარკეტინგული და ახალ ბაზარზე გასვლის შესაძლებლობები, ასევე, მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციის დაგეგმვასა და ოპერაციათა განხორციელებაში რისკების გათვალისწინებით, განსაზღვროს ბიზნესის სტრუქტურული ერთეულების ფინანსური საქმიანობა რისკებისა და დაზღვევის გათვალისწინებით. თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, შეუძლია ბიზნესის ადმინისტრირებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბება. შეუძლია შეაფასოს და გიღრმავოს მიღებული დარგობრივი ცოდნა დამოუკიდებლად მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე. გააანალიზოს ფირმის საქმიანობის შედეგები და მონაწილეობა მიიღოს ბიზნესის სფეროში აუცილებელი ზოგადი და პროფესიული ღირებულებების დამკვიდრებაში. ბაკალავრის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის კურსის გავლა, როგორც სახელმწიფო, ისე ბიზნეს-სუბიექტებში, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე საბაკალავრო ნაშრომის შესრულება. დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს სწავლის შედეგების შეფასებას როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდებით, შესაბამისად პროგრამის სწავლის თითოეულ შედეგს დადგენილი აქვს სამიზნე ნიშნულები. პირდაპირი შეფასების პროცესში ჩართულია როგორც ხარისხის მართვის სამსახური, ასევე პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პროგრამის პოტენციური დამსაქმებლები და უნივერსიტეტის სტუდენტები აღნიშნული პროგრამის წინამორბედი პროგრამიდან. ხოლო არაპირდაპირ შეფასებად, უნივერსიტეტი იყენებს გარე ექსპერტების, დაინტერესებული პროფესიული წრეების შეფასებებს. შესაბამისად, პროგრამაში

გათვალისწინებულია რიგი საკითხები, კერძოდ გაყიდვების მენეჯმენტის, პრაქტიკის და ა.შ. კომპონენტები. გამომდინარე აქედან, შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს სტუდენტის იმ ცოდნას და უნარებს, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია და მის შესაბამისად განხორციელებული სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი კი მისი მიღწევის შეფასების და გაუმჯობესების შესაძლებლობას იძლევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა; ▪ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მისია; ▪ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების და განვითარების წესი; ▪ კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; ▪ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ▪ ინტერვიურება უნივერსიტეტის რექტორთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან; ▪ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა ▪ უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://sangu.edu.ge.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და	√			

მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. რომელიც ითვალისწინებს აბიტურიენტების მიღებას ერთიანი ეროვნული გამოცდებით, მეოთხე საგნად განსაზღვრულია მათემატიკა, გეოგრაფია, ისტორია და ლიტერატურა. ასევე, პროგრამაზე შესაძლებელია დაიშვას აბიტურიენტი ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშეც, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. ბიზნესის ადმინისტრიტების საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა და გარე მობილობით. უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებულია პროგრამების კატალოგი, სადაც ყველასთვის საჯაროდ და ხელმისაწვდომად არის წარმოდგენილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის კურსდამთავრებულს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ენიჭება 240 კრედიტის დაგროვების შედეგად, რომელიც სტუდენტმა უნდა შეასრულოს 8 სემესტრში. კრედიტები ნაწილდება შემდეგნაირად: **საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები** - 42 კრედიტი, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტის წერითი და ვერბალური უნარების განვითარების, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესწავლაზე. ამავე კომპონენტში გათვალისწინებულია უცხო ენის შესწავლა - 30 კრედიტი. **სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები** - 120 კრედიტი, აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება აქვთ აირჩიონ შემდეგი მოდულები: ფინანსები, მენეჯმენტი და მარკეტინგი - თითოეული მოდული შეადგენს 30 კრედიტს. **პროგრამა მოიცავს საწარმოო პრაქტიკის კომპონენტს** - 6 კრედიტი. რომელიც ორიენტირებულია სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე, საწარმოო პრაქტიკა მისი შინაარსობრივი კომპონენტებიდან გამომდინარე ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის ძირითადი ბადის მიხედვით სტუდენტებმა უნდა უნდა იმუშაონ **საბაკალავრო ნაშრომზე** რომლისთვისაც განკუთვნილია - 6 კრედიტი. საბაკალავრო ნაშრომის საშუალებით უნდა გამოვლინდეს სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების შესწავ-ლის შედეგად მიღწეული სტუდენტის ცოდნის დონის და პრაქტიკული უნარების ხარისხის შესაბამისობა. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სპეციალობის 6 არჩევით კურსს (36 კრედიტი, რომლიდანაც სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 18 კრედიტი). მთლიანობაში პროგრამის შინაარსობრივი კომპონენტები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. თუმცა, ზოგიერთი კომპონენტის მიმართ გაგვაჩნია კონკრეტული მოსაზრებები, კერძოდ: დასაკორექტირებელია სასწავლო კურსის ,,სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“ დაშვების წინაპირობა, რომელსაც წინაპირობად გაწერილი აქვს ,,სტატისტიკა“ რაც პროგრამის სასწავლო ბადეში არ არის გათვალისწინებული. ასევე პროგრამის მიზნების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი) გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ საჭიროა პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსების სახით შეთავაზებულ იქნეს **,,ბიზნეს სამართალი“** და **,,სტრატეგიული მენეჯმენტი“** . რაც ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. აღნიშნული სასწავლო კურსები არსებული მდგომარეობით არის პროგრამის თავისუფალი სასწავლო დიციპლინების მოდულში. ასევე, კარგი იქნება პროგრამის სტრუქტურის უკეთ აღქმადობის მიზნით, პროგრამის სასწავლო გეგმაში ცალკეულ სასწავლო კურს მიეთითოს კონკრეტული სემესტრი (საგაზაფხულო და საშემოდგომო სემესტრებთან ერთად).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება;

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დაკორექტირდეს ,,სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში" სასწავლო კურსის წინაპირობა და მის წინაპირობად განისაზღვროს პროგრამის სასწავლო ბადიდან შესაბამისი სასწავლო კურსი (მაგალითად: მატემატიკა 2 (კალკულუსი));
- რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსების სახით შეთავაზებულ იქნეს **,,ბიზნეს სამართალი"** და **,,სტრატეგიული მენეჯმენტი",** რაც ხელს შეუწყობს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების უკეთ მიღწევას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის სტრუქტურის უკეთ აღქმადობის მიზნით, პროგრამის სასწავლო გეგმაში ცალკეულ სასწავლო კურსს მიეთითოს კონკრეტული სემესტრი (საგაზაფხულო და საშემოდგომო სემესტრებთან ერთად).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში - ბიზნესის ადმინისტრირება, მთლიანობაში გათვალისწინებულია ის ძირითადი სასწავლო კურსები, რომელიც აუცილებელია ბიზნესის ადმინისტრირების პროფილის საგანმანათლებლო პროგრამისათვის. პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსები ორიენტირებულია დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენებაზე. სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია ინფორმაცია სასწავლო კურსის კრედიტის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების, კურსების მიზნის და შედეგების შესახებ. იმისათვის, რომ თითოეული სასწავლო კურსი შესაბამისობაში იყოს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყურადღება გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე, კერძოდ: 1. სასწავლო კურსების გარკვეულ ნაწილში პროგრამის ძირითადი ბადის შესაბამისად არ არის მითითებული კრედიტების რაოდენობა, აღნიშნული საკითხი ეხება როგორც სპეციალობის სავალდებულო, ასევე არჩევით სასწავლო დისციპლინებს. მაგალითად, მარკეტინგის საფუძვლები მითითებულია 12 კრედიტი, მმართველობითი აღრიცხვა 5 კრედიტი, საერთაშორისო ბიზნესი 12 კრედიტი, ხოლო პროგრამის სასწავლო ბადეში ეს დისციპლინები არის 6 კრედიტიანი; 2. ზოგიერთი სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა საჭიროებს განახლებას (მაგალითად, ბიზნესის საფუძვლები, საჯარო ფინანსები, ორგანიზაციული ქცევა, რისკების მენეჯმენტი, პროექტის მართვა, მარკეტინგ-მენეჯმენტი და ა.შ.). 3. სასწავლო კურსები **ინგლისური ენა** - (A1, A2, B1, B2) აღნიშნულ დისციპლინაში ოთხივე დონეზე მეორდება სწავლის შედეგები, რაც მოითხოვს დაკონკრეტებას და შესაბამისად ერთმანეთისაგან გამოჯვნას კურსების სირთულის გათვალისწინებით. 4. **კეთილდღეობის ეკონომიკა** - ძირითად ლიტერატურაში მითითებულია, რომ რიდერი ხელმისაწვდომია თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში, რაც დასაკორექტირებელია ანუ რიდერი ასევე უნდა იყოს ადგილზეც; 5. **ლიდერობა და მართვა** - სასურველია სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულად მოიცავდეს კურსის შინაარსს. 6. **საბაკალავრო ნაშრომი** - აღნიშნული კომპონენტის შესრულების ეტაპზე სილაბუსით გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომის რეცენზირება, რაც ჩვენი აზრით წარმოადგენს დამატებით ბარიერს. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის დადებითი შეფასება ამ ტიპის ნაშრომისათვის დამაკმაყოფილებლად მიგვაჩნია. გარდა ამისა, ამ კომპონენტის სრულყოფისათვის რეკომენდებულია სილაბუსით განისაზღვროს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ტექნიკური პირობები და კურსის მიზნიდან და შინაარსიდან გამომდინარე მოხდეს საბაკალავრო ნაშრომზე გამოყოფილი 6 კრედიტის გაზრდა 10 კრედიტამდე მაინც. **საწარმოო პრაქტიკა** - სილაბუსში მითითებულია, რომ პრაქტიკის ანგარიშის ტექსტი უნდა შესრულდეს თაბახის (A4) ფურცელზე, არაუმეტეს 2 გვერდისა. შსაბამისად მიგვაჩნია, რომ დაკორექტირებელია მითითებული გვერდების რაოდენობა, ვინიადან 2 გვერდიანი ანგარიში არ არის საკმარისი პრაქტიკის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესაფასებლად და შესაბამისი ფორმით წარმოსადგენად, ამასთან უმჯობესია თუ დაწესებულება გადახედავს პრაქტიკის კრედიტის მოცულობას და მოახდენს მის გაზრდას, საწარმოო პრაქტიკის მნიშვნელობიდან გამომდინარე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- ინტერვიუ ფაკულტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავარებულებთან;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო ბადის შესაბამისად გასწორდეს კონკრეტული სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული კრედიტების მოცულობა, კერძოდ: მარკეტინგის საფუძვლები მითითებულია - 12 კრედიტი, მმართველობითი აღრიცხვა - 5 კრედიტი, საერთაშორისო ბიზნესი - 12 კრედიტი, ხოლო პროგრამის სასწავლო ბადეში ეს დისციპლინები არის 6 კრედიტიანი;
- რეკომენდებულია პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებული ძირითადი ლიტერატურის განახლება (მაგალითად, ბიზნესის საფუძვლები, საჯარო ფინანსები, ორგანიზაციული ქცევა, რისკების მენეჯმენტი, პროექტის მართვა, მარკეტინგ-მენეჯმენტი, ეკონომიკის პრინციპები);
- რეკომენდებულია ,,საბაკალავრო ნაშრომში"-ის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე განხორციელდეს მასზე გამოყოფილი 6 კრედიტის გაზრდა 10 კრედიტამდე მაინც და მოხდეს ამავე სილაბუსში ნაშრომის შესრულების ტექნიკური პარამეტრების დაკონკრეტება;
- რეკომენდებულია ,,საწარმოო პრაქტიკის" სილაბუსში მითითებული ჩანაწერის პრაქტიკის ანგარიშის მოცულობა უნდა იყოს ,,არაუმეტეს 2 გვერდისა", დაკორექტირდეს როგორც ,,არანაკლებ 2 გვერდისა", რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს სრულყოფილად ასახოს პრაქტიკის ანგარიშში იმავე სილაბუსით გათვალისწინებული საკითხები;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსით გათვალისწინებული საბაკალავრო ნაშრომის რეცენზირება გაუქმდეს, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე დაშვებისათვის ნაშრომის ხელმძღვანელის დადებითი შეფასება სავსებით საკმარისია;
- სასურველია დაწესებულებამ გადახედოს საწარმოო პრაქტიკის კრედიტის მოცულობას და მოახდენოს მისი გაზრდა, თავად საწარმოო პრაქტიკის მნიშვნელობიდან გამომდინარე;
- სასურველია სასწავლო კურსის ,,ლიდერობა და მართვა" სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად მოიცავდეს თავად კურსის შინაარსს;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამაში - ბიზნესის ადმინისტრირება, გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც კვლევითი ხასიათისაა და იგი ხელს უწყობს სტუდენტების მიერ სხვადასხვა დისციპლინებში მიღებული ცოდნის სისტემატიზაციას. საბაკალავრო ნაშრომის მომზადების და დაცვის პროცესი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა რათა შემოწმდეს საბაკალავრო პროგრამით სწავლისას მიღებული უნარ-ჩვევები და მისი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობები. გარდა ამისა, პროგრამაში სხვადასხვა სასწავლო კურსების ფარგლებში გამოიყენება საშინაო დავალების, ქეისების, რეფერატების და სხვა პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშემწყობი აქტივობები. ბუნებრივია პრაქტიკული ხასიათის აქტივობები ხელს უწყობს სტუდენტების კვლევითი და ანალიტიკური კომპეტენციების და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს პროფესიული პრაქტიკის კომპონენტს, რომლის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ უმაღლეს სასწავლებელთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში პრაქტიკა გაიარონ საჯარო და კერძო სექტორის ორგანიზაციებში. დაწესებულება თანამშრომლობს ისეთ მნიშვნელოვან ორგანიზაციებთან, როგორიცაა მწარმოებელთა ასოციაცია, . საკონსულტაციო ჯგუფი „ჯეპრა“, სააქციო საზოგადოება ,,საქკაბელი“, მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია, ჰალიკბანკი და ა.შ. უნივერსიტეტში ტარდება ასევე სემეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, თუმცა სტუდენტთა მოხსენებები არ იბეჭდება პერმანენტულად, ხოლო აკადემიური პერსონალის მოხსენებები გამოდის კრებულის სახით. უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობენ ასევე სხვადასხვა უნივერსიტეტებში გამართულ კონფერენციებში და ჩართულები არიან სხვადასხვა ტიპის ახალგაზრდულ პროექტებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ ინტერვიუ პოტენციურ დამსაქმებლებთან; ▪ ინტერვიუ უნივერსიტეტის სტუდენტებთან; ▪ მემორანდუმები პოტენციურ დამსაქმებლებთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://sangu.edu.ge/ ;
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ➢ სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების თეზისების პერმანენტული გამოცემა კრებულის სახით;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: დისკუსია/დებატები, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, გონებრივი იერიშის მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღნიშნული მეთოდები აპრობირებულია ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების პროგრამის განხორციელების პროცესში, იგი შეესაბამება სწავლების საფეხურს და მისაღწევ სწავლის შედეგებს. თუმცა, სასწავლო კურსის სილაბუსებში მეთოდოლოგიური ნაწილი გარკვეულწილად უნიფიცირებულია, რაც ჩვენი აზრით უნდა ადაპტირდეს კონკრეტული დისციპლინის შინაარსთან და სპეციფიკასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა- ბიზნესის ადმინისტრირება;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://sangu.edu.ge/ ;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სასწავლო კურსის სილაბუსებში გამოყენებული მეთოდოლოგიური ნაწილი მეტად იქნეს ადაპტირებული კონკრეტული დისციპლინის შინაარსთან და სპეციფიკასთან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის შედეგების შეფასების ნაწილში მოიცავს როგორც შუალედურ, ასევე დასკვნით შეფასებას რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას. შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას. დადებითი შეფასებებია:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
(C) კარგი – 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – 51-60 ქულა;

უარყოფითი შეფასებებია:

(FX) ვერ ჩააბარა –41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

შუალედური შეფასებისათვის გათვალისწინებულია - 60 ქულა, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: შუალედური გამოცდა - 30 ქულა; მიმდინარე გამოკითხვები სემინარებზე - 20 ქულა; პრეზენტაცია - 10 ქულა. დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით. ასევე, დაწესებულია მინიმალური კომპეტეციის ზღვარი, რომელიც განსაზღვრულია შემდეგი სახით: შუალედური გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 8 ქულა; პრეზენტაცია/რეფერატი/საკურსო კომპონენტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 4 ქულა; მიმდინარე გამოკითხვების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 8 ქულა; საგამოცდო პროცესი ხორციელდება საგამოცდო ცენტრში, რომელიც უზრუნველყოფს დადგენილი პროცედურების შესაბამისად გამოცდების ობიექტურად ჩატარებას.

როგორც, ზემოთ აღინიშნა სასწავლო კურსების სილაბუსებში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, თუმცა ცალკე არის გამოყოფილი ცალკეული კურსის ფარგლებში შესასრულებლად **სავალდებულო კომპონენტი,** რაც სხვა კომპონენტების შესრულების თვალსაზრისით ქმნის გარკვეულ ბუნდოვანებას, ვინაიდან შესაძლებელია სტუდენტებმა ჩანაწერიდან გამომდინარე შეასრულონ მხოლოდ ის სავალდებულო კომპონენტი რომელიც გათვალისწინებულია კონკრეტული დისციპლინის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სილაბუსებში გადაიხედოს აღნიშნული ჩანაწერი და განისაზღვროს

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შუალედური შეფასებისთვის ცალკეული სავალდებულო კომპონენტის დაკონკრეტების გარეშე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა- ბიზნესის ადმინისტრირება; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://sangu.edu.ge/ ;
რეკომენდაციები: ➢ რეკომენდებულია განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შუალედური შეფასებისთვის ცალკეული სავალდებულო კომპონენტის დაკონკრეტების გარეშე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების		√		

ადეკვატურობა				

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის სათანადო კონსულტაციის გაწევას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე. სასწავლო პროცესის სათანადოდ დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით სწავლის დაწყებიდან უახლოეს დღეებში ეწყობა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა, სადაც დეტალურად განიხილება სასწავლო გეგმა, საუნივერსიტეტო რეგულაციები, სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით კონსულტაციისთვის ხშირად მიმართავენ ფაკულტეტის დეკანატს. შეფასებადი სასწავლო აქტივობების შემდეგ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს საკუთარი შედეგების შესახებ. ხდება შედეგების განხილვა და განმარტება, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს გააცნობიეროს საკუთარი შეცდომები და გაიუმჯობესოს აკადემიური მიღწევები. ასევე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების წასახალისებლად პროგრამის ფარგლებში მოქმედებს სასტიპენდიო სისტემა, რომლის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროა უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან მიღებული თანხები. სასტიპენდიო სისტემის ფარგლებში სემესტრიულად შეირჩევა 16 სტუდენტი, რომლებიც იღებენ ყოველთვიურ სტიპენდიას. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკლავრო პროგრამის ეფექტურად განსახორციელებლად დანერგილია ელექტრონული პორტალი - ums.sangu.edu.ge, რომელიც ერთი მხრივ უზრუნველყოფს სტუდენტების ცნობადობის ამაღლებას და სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართულობას, ხოლო მეორე მხრივ ამარტივებს სტუდენტსა და ლექტორს შორის კომუნიკაციას და შეფასებებადი აქტივობების შედეგებისა ოპერატიულ მიწოდებას. ელექტრონული პორტალი სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, დაგეგმონ სასწავლო პროცესი, უკეთ განსაზღვრონ საკუთარი პროფილი და გაიუმჯობესონ აკადემიური მიღწევები. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების სამმართველო, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა კარიერულ განვითარებას, პრაქტიკების, სტაჟირებებისა და დასაქმების ხელშეწყობას. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შემუშავების ფარგლებში გამოიკვეთა მჭიდრო კავშირი პოტენციურ დამსაქმებლებთან. ინტერვიუებმა ცხადყო, რომ ბაზარზე არსებული წარმატებული კომპანიები გამოთქვამენ მზაობას, წარჩინებული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებაზე. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან ადგილობრივ ღონისძიებებზე, კონფერენციებსა და კველევებზე და ეძლევათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ მსგავს აქტივობებში. უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს საერთაშორისო კავშირების გასაძლიერებლად, რათა სტუდენტებს მიეცეთ

შესაძლებლობა მონაწილოება მიიღონ საერთაშორისო ღონისძიებებში ან ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით. სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის მიზნით, პროგრამის ფარგლებში გაძლიერდა ინგლისური ენის სწავლება. სილაბუსებში არ არის მითითებული საკონსულტაციო საათების დრო და ადგილი. თუმცა აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია საკონსულტაციო საათები. საინფორმაციო დაფებზე გამოკრულია ინფორმაცია საკონსულტაციო საათების შესახებ და სტუდენტებს ეძლევათ საშუალება მიიღონ კონსულტაცია საჭიროებისამებრ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა- ბიზნესის ადმინისტრირება; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; ▪ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://sangu.edu.ge/ ;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ➢ სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებშიც დაფიქსირდეს საკონსულტაციო საათების რაოდენობა; ➢ სასურველია, გააქტიურდეს საერთაშორისო ურთიერთობები, რათა სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცეთ, მონაწილეობა მიიღონ მეტ საერთაშორისო აქტივობებში ან ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ▪ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პირები ფლობენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობასა და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებში არსებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. უნივერსიტეტის პროფესორად ან ასოცირებულ პროფესორად 4 წლის ვადით არჩეულია დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. რომლებთან ურთიერთობა უნივერსიტეტთან რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა განისაზღვრება ქართულ უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციით. აკადემიური პერსონალის დატვირთვა უნივერსიტეტში მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო კვლევით საქმიანობას. პროგრამაში ჩართულია სულ 32 აკადემიური პერსონალი. მათ შორის 8 (25%) ძირითადი (5 - პროფესორი 3 - ასოცირებული პროფესორი) და 24 (75%) მოწვეული პერსონალის სახით. აქედან აფილირებული პროფესორი არის 4, აფილირებული ასოცირებული პროფესორი - 3. უზრუნველყოფილია პროგრამის

აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვა და სხვა მათზე დაკისრებული მოვალეობების სათანადოდ შესრულება, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება. თუმცა პროგრამის მდგარდობის გაზრდის მიზნით მიზანშწონილია აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რაზეც ინტერვიუს მსვლელობისას ყურადღება გაამახვილა თავად უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და აღნიშნა რომ დაწესებულებას დაგეგმილი აქვს აღნიშნული მიმართულებით კონკრეტული აქტივობები, რომელთა მიზანია ეტაპობრივად მოაგვაროს აღნიშნული საკითხი.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას ჰყავს ორი შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე ხელმძღვანელი, რომელთაც აქვთ აღნიშნულ სფეროში მუშაობის 20 წლიანი გამოცდილება. ისინი უშუალოდ არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში, უზრუნველყოფენ პროგრამის შემუშავების პროცესს და ასევე მართავენ პროგრამის განხორციელების, განვითარების და შეფასების პროცესებსაც, აქტიურად არიან ჩართული სტუდენტთა ინფორმირებაში პროგრამის სპეციფიკის, სასწავლო კურსებისა და კომპონენტებთან დაკავშირებულ საკითხებში. ზრუნავენ სასწავლო პროცესში ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე.

პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებლ ფუნქცია-მოვალეობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალის ხელშეკრულებების ნიმუშები;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელი აკადემიურ და მოწვეული პერსონალთან;
- აფილირების დამადასტურებელი შეთანხმებები;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://sangu.edu.ge/

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დაწესებულებამ პროგრამის მდგრადობის გაზრდის მიზნით გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური აფილირებუილი პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებისა და განვითარების წესი, რომლის მიხედვითაც ყოველ სასწავლო წელს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას ახორციელებს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური. გარდა ამისა პერსონალი ახორციელებს თვითშეფასების ფორმების შევსებას. პერსონალის შეფასება ხდება ასევე სტუდენტების მიერ კითხვარის საშუალებითაც. ზემოთაღნიშნული შეფასების შედეგების გამოყენება ხორციელდება მათი პროფესიული წინსვლისთვის და განვითარების გზების დადგენის საშუალებას იძლევა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს პერსონალის კმაყოფილების კვლევაც, რომლის შედეგების ანალიზიც უნივერსიტეტს გასატარებელი საჭირო ღონისძიებების დაგეგმვის საშუალებას აძლევს.

უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, რისთვისაც სისტემატიურად იმართება ღია ლექციები სხვადასხვა აქტუალურ თემებზე, რეგულარული სახე აქვს სამეცნიერო კონფერენციებს. უნივერსიტეტი მეტნაკლებად უწყობს ხელს სამეცნიერო შრომების გამოცემის და კონფერენციების მასალების დაბეჭდვის დაფინანსებას, აკადემიური პერსონალის მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების გამოცემას. უნივერსიტეტში ასევე იმართება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, სადაც მონაწილეობას იღებენ პროგრამის პროფესორ-მასწავლებელთა ხელმძღვანელობით მომზადებული სტუდენტები. რაც შეეხება საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში მონაწილეობას, გამოკითხვის შედეგებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ირკვევა, რომ ასეთ აქტივობებში მცირეა პერსონალის ჩართულობა, თუმცა უნივერსიტეტს თანამშრომლობის მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები უცხოეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებთან, შესაბამისად სასურველია აქტიურად იქნეს გამოყენებული აღნიშნული კონტაქტები და მოხდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობის პროცესის მეტი გაღრმავება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა- ბიზნესის ადმინისტრირება;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;

- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://sangu.edu.ge/

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უნივერსიტეტმა გააქტიუროს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხარდაჭერის მექანიზმები საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში ჩართულობის გაზრდის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტში არსებობს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის სათანადო ინვენტარით და კომპიუტერული ქსელით აღჭურვილი აუდიტორიები. ჯგუფის წევრები დარწმუნდნენ, რომ უნივერსიტეტში არსებობს ყველა პირობა, რომელიც საჭიროა სრულყოფილი და უსაფრთხო სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. უნივერსიტეტის სარგებლობაშია ორი სასწავლო კორპუსი, სადაც განლაგებულია აუცილებელი ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიები, ორი საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კაბინეტები და საგამოცდო ცენტრი.კეთილმოწყობილია ასევე სასწავლო კორპუსების მიმდებარე ტერიტორია, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის შექმნილია მყუდრო სამუშაო გარემო. სასწავლო პროგრამის მომსახურე ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური საერთო ქსელში ჩართული პერსონალური

კომპიუტერებით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მართვის ელექტრონული სისტემა ums.sangu.edu.ge, რომლის წვდომაზეც შესაბამისი უფლებებით სარგებლობენ როგორც სტუდენტები, ისე აკადემიური პერსონალი. აღნიშნული სისტემით სტუდენტი ინფორმირებულია სასწავლო ცხრილის, გამოცდების გრაფიკის, სილაბუსების, ფინანსური დავალიანების, ბიბლიოთეკის რესურსების მოხმარების და სხვათა შესახებ. ამავე სისტემის გამოყენებით სტუდენტებს აქვთ კონტაქტი აკადემიურ პერსონალთან. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია სათანადო ტექნიკით და წიგნადი ფონდით, რომელშიც თავმოყრილია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა, სალექციო კურსები და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონული ვერსიები). მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით უნივერსიტეტი რეგულარულად ატარებს კვლევას ბიბლიოთეკის რესურსებისა და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის, მომსახურების ხარისხის და ინფრასტუქტურით სარგებლობით კმაყოფილების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://sangu.edu.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი ასახავს პროგრამის მხარდაჭერას ფინანსური რესურსით. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ ნათელი წარმოდგენა მოგვცა პროგრამის ბიუჯეტის შესახებ, რომლის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება უნივერსიტეტის ერთიანი

ბიუჯეტიდან. დოკუმენტაციაში მოცემულია პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად გამოყოფილი თანხები აქტივობების მიხედვით - ფინანსური გეგმა სხვადასხვა სასწავლო წლებისთვის. დინამიკა იძლევა ფინანსური ზრდადობის მონიტორინგის საშუალებას და იკვეთება განვითარების ტენდენციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ პროგრამის და სკოლის ბიუჯეტი სასწავლო წლების მიხედვით; ▪ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა- ბიზნესის ადმინისტრირება; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://sangu.edu.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
უნივერსიტეტში შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარეს“ პრინციპით მუშაობას. სისტემა ითვალისწინებს ხარისხის მექანიზმის გამოყენებას როგორც საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, ისე მისი შემდგომი განვითარების ეტაპზე. ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას უნივერსიტეტში აქვს უწყვეტი ხასიათი. შეფასების პროცესი ხორციელდება სათანადო მეთოდოლოგიის დაცვით. პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგების გათვალისწინებით ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარება, მასში ცვლილების შეტანის გზით. თვითშეფასების პროცესს უნივერსიტეტში აქვს უწყვეტი ხასიათი და კონკრეტული მონაცემების შეგროვების და წარმოდგენის პერიოდულობა გათვალისწინებულია ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის სამოქმედო გეგმით. შეფასების პროცესში გამოიყენება: პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები; სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; ადგილობრივი ან/და საერთაშორისო სარეკომენდაციო დოკუმენტები, კვლევები და სტანდარტის კონკრეტულ კრიტერიუმთან დაკავშირებული თემატური დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), უნივერსიტეტის პერსონალის/სხვა სამიზნე ჯგუფების გამოკითხვის შედეგები, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის მხრიდან კოლეგიალური შეფასება, პროგრამის კომპონენტის განხორციელების პროცესზე დაკვირვება, საჭიროების გათვალისწინებით და სხვა. ამასთან, თითოეული მიმართულებით მონაცემების შეგროვება და გაანალიზება ხორციელდება განსაზღვრული პერიოდულობით, რაც გათვალისწინებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმსა და ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული სამსახურის სამუშაო გეგმაში. პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით ყოველი სასწავლო კურსის ბოლოს გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან კურსის განხორციელების შეფასება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა- ბიზნესის ადმინისტრირება; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ განხორციელებული შეფასების შედეგები; ▪ პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები; ▪ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ▪ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://sangu.edu.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი პროგრამის გარე შეფასების მექანიზმად იყენებს უნივერსიტეტის ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურებს. საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომლის დროსაც ხორციელდება თვითშეფასებითა და საავტორიზაციო თუ სააკრედიტაციო ვიზიტის შედეგად მიღებული მონაცემების გაანალიზება და ექსპერტთა და საბჭოების მიერ შენიშვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება, რაც მათი შინაარსის გათვალისწინებით, გამოყენებული იქნება პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით. აღნიშნულ პროგრამის გარე შეფასებად შეიძლება განხილული იქნეს ასევე პროგრამის შეფასების პროცესში სხვადასხვა ორგანიზაციების წამყვანი ექსპერტების მონაწილეობაც, მაგალითად პროგრამა დადებითად იქნა შეფასებული საქართველოს ბანკების ასოციაციის, ააიპ ელექტრონული მმართველობა საქართველოსათვის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა- ბიზნესის ადმინისტრირება; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ განხორციელებული შეფასების შედეგები; ▪ პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები; ▪ უნივერსტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://sangu.edu.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასებ **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება, რომლის შედეგებიც ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ იკრიბება, ანალიზდება და აისახება ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ შემუშავებულ თვითშეფასების ფორმაში. აღნიშნული პროგრამის მონიტორინგის და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია დაინტერესებული პირების მონაწილეობა და უნივერსიტეტის პერსონალის მათი კომპეტენციის გათვალისწინებით ჩართულობა. აკრედიტაციის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენამდე დაწესებულების მხრიდან გატარებული იქნა რიგი ღონისძიებები, კერძოდ განხორციელდა საერთაშორისო პრაქტიკის მოძიება, გაანალიზდა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის მოსალოდნელი შედეგები და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა- ბიზნესის ადმინისტრირება; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ▪ განხორციელებული შეფასების შედეგები; ▪ უნივერსტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://sangu.edu.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 32

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ვასილ კიკუტაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მერაბ ხოხობაია



მაია ჭინჭარაშვილი

გიგი მიშელაძე